პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი
23 სექტემბერი
1939 წ.
№ 219 (5619)
ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელოვან წითელ არმიას თავისუფლება მიაქვს დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის მშრომელთათვის

სსრ კავშირის ხალხთა ძმობა და მეგობრობა

უდიდესი სიხარულით ეგებება დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის მოსახლეობა წითელი არმიის მამაც პოლკებს. პანების ტყვეობაში დატანჯული და, ბოლოს, თავის სასტიკ და ლაჩარ მმართველთა მიერ ბედის ანაბარა მიტოვებული მილიონობით ადამიანები წითელ დროშებში ხედავენ სოციალიზმის დიადი სიმართლისა და თავისუფალი, ბედნიერი ცხოვრების სიმბოლოს.

ოქტომბრის დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ მეფის ყოფილი რუსეთის ადგილზე შექმნა ურღვევი მეგობრობითა და ძმური ურთიერთდახმარებით მტკიცედ დაკავშირებულ თანასწორუფლებიან ერთა მძლავრი და თავისუფალი კავშირი. სოციალიზმის გამარჯვებათა შედეგად „ახლა ჩვენ გვაქვს სავსებით ჩამოყალიბებული მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფო, რომელმაც ყოველგვარ განსაცდელს გაუძლო და რომლის სიმტკიცეც შეშურდებოდა რომელიც გნებავთ ნაციონალურ სახელმწიფოს ქვეყნიერების რომელიც გნებავთ ნაწილში". (სტალინი).

საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფო მტკიცეა, როგორც გრანიტი, და მონოლიტურია, როგორც საუკეთესო, მაღალხარისხოვანი ფოლადი. იგი, როგორც ცა დედამიწისაგან, განსხვავდება ბურჟუაზიული მსოფლიოს მრავალეროვან სახელმწიფოებისაგან.

ისტორია გვიჩვენებს, რომ მრავალეროვან სახელმწიფოს ბურჟუაზიულ საფუძველზე შეურიგებელი წინააღმდეგობანი ღრღნის. 20 წლის წინათ პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის ცეცხლში დაიწვა ავსტრია-უნგრეთის „ნაკუწებისაგან შემდგარი იმპერია", რომელიც ბურჟუაზიულ ქვეყანაში მრავალეროვანი სახელმწიფოს შექმნის ცდას წარმოადგენდა. უკანასკნელი კვირეების განმავლობაში ელვისებური სისწრაფით დაიშალა, როგორც ხუხულა, პანების პოლონეთი, რომელმაც თავის განვითარებაში ავსტრია-უნგრეთის სავალალო გამოცდილება განიმეორა. ნაციონალური უთანასწორობა, ჩაგვრა და დამონება გარდუვალად იწვევენ ცენტრიდანულ ძალებს, რომელნიც დაღუპვას უმზადებენ სახელმწიფოს.

მხოლოდ სოციალიზმმა შესძლო შექმნა ხალხთა ნამდვილი ძმური თანამეგობრობა ერთიანი მრავალეროვანი სახელმწიფოს სისტემაში. სოციალიზმმა მოსპო პარაზიტი ექსპლოატატორები — ხალხთა შორის ეროვნული შუღლისა და მტრობის მთავარი გამომწვევნი და პროვოკატორები. ისტორიაში უდიდესი რევოლუციის გუთნით ღრმად მოხნულ მიწაზე, კაპიტალისტური მონობის ბორკილებისაგან განთავისუფლებულ მიწაზე წარმტაც ფერებად აყვავდა სსრ კავშირის ხალხთა დიადი მეგობრობა.

„...მეგობრობა სსრ კავშირის ხალხთა შორის — დიდი და სერიოზული მონაპოვარია. ვინაიდან სანამ ეს მეგობრობა არსებობს, ჩვენი ქვეყნის ხალხები თავისუფალი და უძლეველი იქნებიან. არავინ არ არის ჩვენთვის საშიში, არც შინაური და არც გარეშე მტრები, სანამ ეს მეგობრობა ცოცხლობს და დღეგრძელობს". (სტალინი).

სულ უფროდაუფრო ლამაზად ჰყვავის და წლითიწლობით მტკიცდება ეს მეგობრობა. საბჭოთა წყობილებამ ძირფესვიანად მოსპო ნაციონალური ჩაგვრის ყოველგვარი წყარო, სამუდამოდ ბოლო მოუღო ეროვნული უთანასწორობის ყველა ფორმას, სრულიად მოსპო ეროვნული მტრობის ყველა საზიზღარი გამოვლინება.

ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვებამ თავისი საკანონმდებლო გაფორმება ჰპოვა ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძირითად კანონში — სსრ კავშირის სტალინურ კონსტიტუციაში.

საბჭოთა წყობილებამ არა მარტო საქვეყნოდ გამოაცხადა სრული და ყოვლად შეუზღუდავი ეროვნული თანასწორობა, არამედ შექმნა აგრეთვე აუცილებელი მატერიალური წინამძღვარნი წინათ ჩაგრული ერების ნამდვილი აყვავებისათვის. დიდმა რუსმა ხალხმა — პირველმა სსრ კავშირის ხალხთა თანასწორ ოჯახში — მძლავრი დახმარება გაუწია ჩვენი სამშობლოს სხვა ერებს, დაეხმარა მათ გამოსულიყვნენ ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული აღმავლობის ფართო გზაზე. წინათ ჩამორჩენილი ნაციონალური განაპირა მხარეები სამრეწველო საწარმოთა ქსელით დაიფარა, მათი სივრცეები რკინიგზის ახალმა მაგისტრალებმა და წყლის არტერიებმა დასერა, მათს ყანებში ფოლადის ცხენების — ტრაქტორებისა და ველის ხომალდების — კომბაინების მძლავრი რაზმები ამუშავდნენ.

საბჭოთა კავშირის სამრეწველო პროდუქციის მოცულობა 1936 წელს 1913 წელთან შედარებით 7,3-ჯერ გაიზარდა. ამავე პერიოდის განმავლობაში ბელორუსიის სს რესპუბლიკის მრეწველობა გაიზარდა 15,9-ჯერ, საქართველოს სს რესპუბლიკისა — 18,6-ჯერ, ყირგიზეთის სს რესპუბლიკისა — 95,0-ჯერ, ტაჯიკეთის სს რესპუბლიკისა 116,0-ჯერ.

თავისი არსებობის ორი ათეული წლის განმავლობაში საბჭოთა უკრაინა მძიმე ინდუსტრიის მძლავრ გიგანტთა ქვეყნად, მდიდარ კოლმეურნეობათა ქვეყნად გადაიქცა. უკვე 1936 წელს მისმა ქარხნებმა მოგვცეს ორჯერ უფრო მეტი თუჯი, ვიდრე მეფის მთელი რუსეთი იძლეოდა! საბჭოთა ბელორუსიაში აგებულია ასობით საუცხოოდ მოწყობილი საწარმოები, რომლებიც მაღალხარისხოვან პროდუქციას აწვდიან მოსახლეობას.

სამეურნეო აყვავება ფეხდაფეხ მიჰყვება სსრ კავშირის ხალხთა ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურის გიგანტურ აღმავლობას. კულტურისა და მეურნეობის ზრდა განუყრელად დაკავშირებულია მრავალრიცხოვანი ნაციონალური კადრების შექმნასთან, ახალი, სოციალისტური, ხალხური ინტელიგენციის წარმოშობასთან.

საბჭოთა უკრაინაში 1938-1939 წელს დაწყებითს, არასრულ საშუალო და საშუალო სკოლებში სწავლობდა 5,5 მილიონი ბავშვი, მათ შორის 2,1 მილიონი მე-5-10 კლასებში. საბჭოთა უკრაინის უმაღლეს სასწავლებლებში იმავე წელს სწავლობდა 124,4 ათასი სტუდენტი, ტექნიკუმებში — 172,4 ათასი მოსწავლე. უკრაინის სს რესპუბლიკაში (1938 წ. ცნობებით) 84 თეატრი და 5,6 ათასი კინოდანადგარია.

საბჭოთა ბელორუსიაში 1938-1939 წელს დაწყებითს, არასრულ საშუალო და საშუალო სკოლებში სწავლობდა 1 მილიონზე მეტი ბავშვი, მათ შორის 356 ათასი მე-5-10 კლასებში. საბჭოთა ბელორუსიის უმაღლეს სასწავლებლებში იმავე წელს სწავლობდა 17,1 ათასი სტუდენტი, ტექნიკუმებში — 35,9 ათასი მოსწავლე. ბელორუსიის სს რესპუბლიკაში (1938 წ. ცნობებით) 12 თეატრი და 979 კინოდანადგარია, მათ შორის 389 ხმოვანი.

ათობით სამეცნიერო - საკვლევო ინსტიტუტები უზრუნველჰყოფენ საბჭოთა უკრაინისა და საბჭოთა ბელორუსიის მეცნიერული შემოქმედების ნამდვილ აყვავებას, ხოლო უკრაინის სს რესპუბლიკისა და ბელორუსიის სს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიები ისეთ დიდ სამეცნიერო ცენტრებს წარმოადგენენ, რომლებიც ბევრ ბურჟუაზიულ ქვეყანას შეშურდებოდა.

საბჭოთა წყობილებამ სს კავშირის ყველა ხალხს კულტურის უშრეტი საგანძური მისცა. სსრ კავშირის თვითეული ხალხის კულტურული ღირებულებანი ყველა ერის განუყრელი ძმური ოჯახის კუთვნილება გახდა. უმაგალითოდ სჩქეფს ხალხური შემოქმედების დაუშრეტელი წყარო.

ხალხთა ძმურმა თანამშრომლობამ მოგვცა დაუშრეტელი ძალის წყაროები, შემოქმედებითი ინიციატივის უსაზღვრო გაქანება. სინამდვილედ ქცეულ სასწაულებრივ ზღაპარს წარმოადგენს დიდი ფერგანის არხი, რომელიც მზიური უზბეკეთის კოლმეურნეებმა ააგეს. საარაკოდ მოკლე ვადაში აგებული ეს გრანდიოზული საირიგაციო ნაგებობა საუკუნეობით დარჩება იმ ხალხის დევგმირული ძალის ძეგლად, რომელიც თავისი ბედ-იღბლის ნამდვილი ბატონპატრონი გახდა.

ამ შესანიშნავ დღეებში, როდესაც ისტორია გადაგვიშლის თავის ერთერთ დაუვიწყარსა და ბრწყინვალე ფურცელს, მილიონობით ჩვენი თვისტომი ძმები—უკრაინელები და ძმები—ბელორუსები ჩვენი გმირული წითელი არმიის დახმარებით თავისუფლდებიან საძაგელი და საზიზღარი პანების უღლისაგან, ხორციელდება დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის მშრომელთა მასების მრავალი წლის ოცნება. მრავალი წლის დამცირება და მწუხარება წარსულს ჩაჰბარდა. სილატაკისა და მწუხარების, დამცირებისა და ცრემლის მხარეში თავისუფლებისა და ბედნიერების შუქმფინარი მზე ამოდის.

— ჩვენ 20 წელი გელოდით, — ამბობს დასავლეთ უკრაინის ერთი მოხუცი გლეხი და მხურვალედ ეხვევა წითელარმიელს.—ვიცოდით, რომ საბჭოთა ხალხი ჩაგვრისაგან გაგვათავისუფლებდა. მე იმ დღეს მოვესწარ, როცა სულითა და გულით შემიძლია შევძახო: „გაუმარჯოს ყველაზე უდიდეს ადამიანს, საყვარელ, მშობლიურ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს!"

სტალინის სახელით აღფრთოვანებულნი წითელი არმიის სახელოვანი პოლკები ასრულებენ თავიანთ დიადს განმათავისუფლებელ ამოცანას!

„პრავდის" მოწინავე, 22/IX.

გერმანია-საბჭოთა კავშირის კომუნიკე

22 სექტემბერი

გერმანიის მთავრობამ და სსრ კავშირის მთავრობამ გერმანიისა და საბჭოთა კავშირის არმიებს შორის დააწესეს სადემარკაციო ხაზი, რომელიც გადის მდინარე პისაზე იმ ადგილამდე, სადაც იგი მდინარე ნარევს ერთვის, შემდეგ მდინარე ნარევზე იმ ადგილამდე, სადაც იგი მდინარე ბუგს ერთვის, შემდეგ მდინარე ბუგზე იმ ადგილამდე, სადაც იგი მდინარე ვისლას ერთვის, შემდეგ მდინარე ვისლამდე იმ ადგილამდე, სადაც მას მდინარე სანი ერთვის და შემდეგ მდინარე სანზე მის სათავეებამდე.

ქრონიკა

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ დაამტკიცა სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარიატის კოლეგია სახალხო კომისრის ამხ. **ს. ს. დუკელსკის** თავმჯდომარეობით და ამხანაგების—**ე. კ. სამბორსკის** (სახალხო კომისრის პირველი მოადგილე), **ს. გ. ემელიანოვის** (სახალხო კომისრის მოადგილე), **ა. ნ. კომაროვსკის** (სახალხო კომისრის მოადგილე), **ა. ფ. ოგოროდოვის** (სახალხო კომისრის მოადგილე), **მ. ფ. ზიბინის, ი. მ. როგოვისა** და **ნ. ი. ბეზრუკოვის** შემადგენლობით. (საკდესი).

გამომუშავებულია ნახევარი მილიონი ფუთი შაქარი

58 შაქრის ქარხანა შეუდგა ახალი მოსავლის ჭარხლის გადამუშავებას. სულ მიმდინარე წელს იმუშავებს 192 შაქრის ფხვნილისა და შაქრის რაფინადის 16 ქარხანა.

ახალი მოსავლის ჭარხალი დიდი შაქრიანობით განირჩევა და შაქრიანობის მხრივ 1935 წლის მოსავლის სარეკორდო ჭარხალსაც აღემატება. შაქრის 18 ქარხნიდან მიღებული ცნობებით, 15 სექტემბრისათვის უკვე გამომუშავებულია 500 ათასამდე ფუთი შაქარი. (საკდესი).

პატიმრობიდან განთავისუფლებულ მუშათა და მოსამსახურეთა ხელფასი

21 სექტემბერს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა განიხილა სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისარიატის მიერ აღძრული საკითხი პატიმრობიდან განთავისუფლებულ მუშათა და მოსამსახურეთათვის ხელფასის მიცემის წესის შესახებ. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა დაადგინა მისცეს სასამართლოებს შემდეგი მითითება:

თავისუფლების აღკვეთასთან დაკავშირებით დათხოვნილ მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც შემდეგში განთავისუფლდნენ სისხლის სამართლის წესით მათი დევნის შეწყვეტისა, სასამართლოს მიერ განთავისუფლებისა ან შემდგომ სასამართლოს მიერ განაჩენის გაუქმების გამო საქმის შეწყვეტით, უფლება აქვთ მიიღონ სამუშაოზე იძულებით არყოფნის დროის კუთვნილი ხელფასი, მაგრამ არა უმეტეს ორი თვის ხელფასისა.

აღნიშნული რაოდენობის ხელფასი განთავისუფლებულს, ეძლევა იმ ადგილზე, სადაც იგი მუშაობდა, სანამ მას თავისუფლებას აღუკვეთდნენ, მიუხედავად იმისა, თავის მუშაობასთან დაკავშირებით წაყენებული ბრალდებით იყო იგი მიცემული სამართალში სისხლის სამართლის წესით თუ არა. (საკდესი).

დაიწყო რომნის ნავთის საბადოს სამრეწველო ექსპლუატაცია

სუმი, 20 სექტემბერი (საკდესი). ქალ. რომნის რაიონში 17 სექტემბერს დაიწყო ნავთის № 12 ჭაბურღილის სამრეწველო ექსპლუატაცია. უკრაინის პირველმა სამრეწველო ნავთმა დაიწყო მილებით რეზერვუარში დენა.

იქვე, ჭაბურღილის მახლობლად ხალხმრავალი მიტინგი გაიმართა. რომნის ნავთის მუშაკები მხურვალედ იწონებენ საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებას დასავლეთი უკრაინისა და დასავლეთი ბელორუსიის მოსახლეობის სიცოცხლისა და ქონების დაცვის შესახებ.

დაიწყო შაქრის ჭარხლის აღება

გორი, 22 სექტემბერი (საქდესი). გორის რაიონის მეჭარხლე კოლმეურნეობები შეუდგნენ ჭარხლის აღებას. ჭარხლის აღება ყველაზე უმალ დაიწყეს ხელთუბნის, შინდისის, ვარიანისა და კარალეთის კოლმეურნეობებმა.

ჭარხლის მოსავალი საგრძნობლად სჯობია შარშანდელს.

კასპი, 22 სექტემბერი (საქდესი). კოლმეურნეობებმა „ძმობამ" (კასპი) და „განთიადმა" (სოფ. მირიანეული) 20 სექტემბრიდან დაიწყეს შაქრის ჭარხლის აღება. კოლმეურნეობა „ძმობამ" უკვე ჩააბარა მიმღებ პუნქტს 200 ცენტნერზე მეტი ჭარხალი.

გერანის პირველი მოსავლის აღების გეგმა შესრულებულია

თელავი, („კომუნისტის" კორ.). თელავის რაიონის კოლმეურნეობებმა გადაჭარბებით შეასრულეს გერანის პირველი მოსავლის აღების გეგმა. მიღებულია 855 ტონა გერანის ნედლი ღერო, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 615 ტონისა.

თელავის ეთეროვანი ზეთის ქარხანამ გადაამუშავა გერანის მწვანე მასა და სახელმწიფოს ჩააბარა 880 კილოგრამი მაღალხარისხოვანი ზეთი.

აჭარამ შეასრულა ციტრუსების მყნობის წლიური გეგმა

ბათუმი, 22 სექტემბერი (საქდესი). აჭარის ასს რესპუბლიკამ შეასრულა ციტრუსების მყნობის წლიური გეგმა. 22 სექტემბრისათვის დამყნობილია 477.000 ძირი ციტრუსი— გეგმის 103,6 პროცენტი.

მუშურ-გლეხური წითელი არმიის გენერალური შტაბის ოპერატიული ცნობა

1939 წლის 22 სექტემბერი

დასავლეთ ბელორუსიაში მოქმედი წითელი არმიის ნაწილებმა 22 სექტემბერს დაიკავეს ქალაქი ბელოსტოკი და სიმაგრე ბრესტ-ლიტოვსკი და შეუდგნენ ავგუსტოვის ტყეების (ქალაქ გროდნოს ჩრდილოეთ - დასავლეთით) გაწმენდას პოლონეთის არმიის ნაშთებისაგან.

დასავლეთ უკრაინაში წითელი არმიის ნაწილებმა, რომლებიც პოლონეთის არმიის ნაშთების სალიკვიდაციო ოპერაციებს აწარმოებენ, გასწმინდეს ოფიცრების ჯგუფებისაგან სარნის რაიონი. ქალაქ ლვოვის რაიონში პოლონეთის არმიის ნაწილების წინააღმდეგობის ლიკვიდაციის დროს, წითელი არმიის ნაწილებს დღეს დანებდა 6 ქვეითი დივიზია და 2 ცალკე სასროლო პოლკი გენერალ ლაბეროს მეთაურობით.

არასრული ცნობებით 17 სექტემბრიდან 21 სექტემბრამდე წითელმა არმიამ ტყვედ წამოიყვანა პოლონეთის არმიის 120 ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი, ხელთ იგდო 380 ქვემეხი და 1.400 ტყვიამფრქვევი.

დნეპრის სამხედრო ფლოტილიამ საზღვარი გადალახა

მოსახლეობა აღტაცებით ეგებება საბჭოთა გემებს

ტუროვი (პოლესიეს ოლქი), 21 სექტემბერი (საკდესი). საბჭოთა მთავრობის მეთაურის ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის მიერ 17 სექტემბერს რადიოთი წარმოთქმულმა სიტყვამ უდიდესი აღფრთოვანება გამოიწვია დნეპრის სამხედრო ფლოტილიის პირად შემადგენლობაში. წითელფლოტელები, მეთაურები და პოლიტმუშაკები მიტინგებზე გამოსვლის დროს ერთსულოვნად იწონებდნენ საბჭოთა მთავრობის ბრძნულ პოლიტიკას, აცხადებდნენ, რომ ღირსეულად შეასრულებენ საბრძოლო დავალებას — დახმარება გაუწიონ დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის მოსახლეობას.

უდიდესი პატრიოტული აღფრთოვანებით შეეგებნენ სარდლობის განკარგულებას საზღვრის გადალახვის შესახებ. გემებზე მრავალ მებრძოლს განცხადება შეაქვს პარტიაში მიღების შესახებ. მარტო ერთ გემზე, სადაც კომისრად ამხ. კლებანჩუკია, 20 ასეთი განცხადება შეიტანეს.

18 სექტემბერს 20 საათზე დნეპრის სამხედრო ფლოტილიამ გადალახა პოლონეთის საზღვარი.

დასავლეთ ბელორუსიის მოსახლეობა აღტაცებით ეგებება საბჭოთა საბრძოლო გემებს. გლეხკაცები და ქალები რძესა და სხვა პროდუქტებს სთავაზობენ წითელ ფლოტელებს. მხურვალე მადლობას უხდიან ისინი მამაც მებრძოლებს პოლონეთის უღლისაგან განთავისუფლებისათვის. მცხოვრებნი უამბობენ წითელფლოტელებს პოლონელი პანების უღლის ქვეშ მყოფი ბელორუსთა სოფლების უნუგეშო სილატაკეზე. არ არის მარილი, არ არის საპონი, არ არის ასანთი.

საბჭოთა გემების მოსვლამ მშრომელთა საყოველთაო აღტაცება გამოიწვია. მრავალ სახლზე წითელი ბაირაღები ფრიალებენ. გლეხები პანების ყოფილ მამულებს იყოფლებიან.

პოლონეთის სამხედრო ფლოტილიამ წინდაწინ დაიხია საზღვრიდან და ფარვატერში ჩასძირა კარჭაპები, რათა გზა გადაეღობა დნეპრის სამხედრო ფლოტილიის გემებისათვის.

სტოლბცის დროებითი მმართველობის მუშაობის პირველი დღეები

სტოლბცი (დასავლეთი ბელორუსია), 21 სექტემბერი (საკდესი). დროებითმა მმართველობამ მუშაობის პირველი დღეებიდანვე დიდი ავტორიტეტი მოიპოვა ადგილობრივ მოსახლეობაში. აქ განუწყვეტლივ მოდიან მუშები, გლეხები, შინამრეწველები, ინტელიგენტები. ისინი მმართველობას მიმართავენ სხვადასხვა საკითხით, თხოვნითა და რჩევისათვის.

დღეს მმართველობაში გამოცხადდა ბობროვიჩევის გიმნაზიის დირექტორი-ქალი. მან თავმჯდომარეს უამბო გიმნაზიის მძიმე მდგომარეობის შესახებ. ამ გიმნაზიაში მოსწავლე ბავშვთა დიდ უმეტესობას ბელორუსები შეადგენენ. მაგრამ სწავლა ყველასათვის მხოლოდ და მხოლოდ პოლონურ ენაზე სწარმოებდა. ბელორუს ბავშვებს, რომელნიც პოლონურ ენას ვერ ითვისებდნენ, გიმნაზიიდან რიცხავდნენ, გიმნაზია დიდი სწავლის ქირის გამო—წელიწადში 300 ზლოტი—ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ მცირე ნაწილისათვის. მასწავლებლებს დაახლოებით ორი თვეა, რაც ჯამაგირი არ მიუღიათ. დირექტორმა თხოვნით მიმართა მმართველობის თავმჯდომარის შჩებეტოვს დახმარებოდა გიმნაზიას სამშენებლო მასალის მიღებაში სადგომის რემონტისათვის და დახმარება აღმოეჩინა მასწავლებლითათვის ჯამაგირის მიცემის საქმეში. დროებითი მმართველობის თავმჯდომარემ ის თხოვნა დააკმაყოფილა. მან წინადადება მისცა დირექტორს პირველ კლასში მიეღო სასკოლო ასაკის ყველა ბავშვი და, თუ საჭირო იქნებოდა, გაეხსნა დამატებითი კლასები. შჩებეტოვმა წინადადება მისცა მას დაუყოვნებლივ გაანთავისუფლოს ღარიბი მშობლების ბავშვები სწავლის ქირისაგან. ეს ამბავი სწრაფად მოედო ქალაქს და საყოველთაო კმაყოფილება გამოიწვია.

მმართველობაში შემოდის ფიზიკურად შიშველი, ძონძებში გახვეული ტყისმჭრელი ალექსანდრე ხოვიკი, რომელიც თავად რაძივილის ტყეში მუშაობდა. იგი მღელვარებით ლაპარაკობს თავის იმ მძიმე, მომქანცავ შრომაზე, რომელსაც იგი პოლონელი პანისათვის ეწეოდა. მთელი წლის განმავლობაში ხოვიკს ურიცხავდნენ ფულს ვითომდა იმისათვის, რომ იგი შეშით უზრუნველეყოთ. მაგრამ ეს შეშა მან მაინც ვერ მიიღო. დროებითმა მმართველობამ განკარგულება გასცა ხოვიკის შეშით უზრუნველყოფის შესახებ.

შორეულ სოფელ ოპოჩკიდან მმართველობაში მოვიდნენ წარმომადგენლები. ისინი ერთმანეთს არც კი აცლიდნენ და ისე ლაპარაკობდნენ, თუ როგორ აბუჩად იგდებდნენ მათ პოლონელი პანები, რა მონობაში იყვნენ ისინი მათ ხელში და როგორ სდევნიდნენ მშობლიურ ბელორუსულ ენას. ამჟამად სოფელში შეიქმნა გლეხთა კომიტეტი, რომელიც პირველია მაზრაში და რომელმაც ერთბაშად მოიპოვა პოპულარობა და ავტორიტეტი. კომიტეტი სწყვეტს ყველა საარსებო საკითხს: უმიწაწყლო გლეხთათვის მიწის მიცემისა და უძროხოთათვის ძროხის მიცემის შესახებ. გლეხებმა წინადადება შეიტანეს, რომ მემამულის ყოფილ სახლში გაიხსნას ბელორუსული სკოლა. გლეხთა კომიტეტის წევრი პარხიმოვიჩი სთხოვს მმართველობის თავმჯდომარეს გულითადი სალამი გადასცეს საბჭოთა ბელორუსიის მშრომელთ.

გუშინ გამოვიდა დროებითი მმართველობის ორგანოს გაზეთ „ზნამიას" პირველი ნომერი. იქ მოთავსებულია ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის სიტყვა, რომელიც მან რადიოთი წარმოსთქვა 17 სექტემბერს, სოფელ სტარი სვერჟანის გლეხთა მისალმება ამხანაგ სტალინისადმი და მშრომელთა მისასალმებელი წერილები წითელი არმიისადმი.

დაიწყო ახალი სასიხარულო ცხოვრება

სტოლბცი (დასავლეთი ბელორუსია), 21 სექტემბერი (საკდესი). ჯერ კიდევ სულ ახლო ხანში საზღვრისპირა სადგურ კოლოსოვოში აღმართული იყო წითელი დროშებით მორთული თაღი შემდეგი წარწერით: „სალამი დასავლეთის მშრომელთ". ეს თაღი უკვე აღარ ჰყოფს ბელორუსიის მიწაწყალს ორ ნაწილად. სახელოვანმა წითელმა არმიამ სამუდამოდ გაანთავისუფლა თვისტომი ძმები — ბელორუსები პოლონელი პანებისა და მაგნატების მუდმივი უღლისაგან.

ქალაქ სტოლბცში ახალი, სასიხარულო ცხოვრება აჩქეფდა. შეიქმნა დროებითი საქალაქო მმართველობა, რომლის შემადგენლობაშიაც შევიდნენ ადგილობრივი გლეხი ი. ფ. შესტაკი, ქალაქის ექიმი ნ. ლ. გრინბერგი და სხვ.

მმართველობამ გუშინ ქალაქში გააკრა თავისი პირველი დადგენილება, რომლითაც აუწყებს მოსახლეობას, რომ განსაკუთრებულ განკარგულებამდე საქონელი გაიყიდება როგორც საბჭოთა, ისე პოლონურ ფულზე. მმართველობა მოუწოდებს ქალაქის მოსახლეობას მოაწყონ ყველა საწარმოს, დაწესებულებისა და დუქნის შეუფერხებელი ნორმალური მუშაობა. შეიქმნა წესრიგის დამცველი ნებაყოფლობითი რაზმები, რომელთაც დაევალა ქალაქის უმნიშვნელოვანესი ობიექტების დაცვა.

ქალაქში გაიმართა 25-ათასიანი მიტინგი და დემონსტრაცია.

მთელ რიგ სოფლებში შეიქმნა გლეხთა კომიტეტები, რომლებმაც უკვე აღრიცხეს მემამულეებისა და „ოსადნიკების" მიწები. სოფელ სტარი სერჟანის გლეხები დიდი სიხარულით ესალმებიან ადგილობრივი დროებითი მმართველობის ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია მშრომელ გლეხთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისაკენ.

თავიანთ წერილში ამხანაგ სტალინისადმი გლეხები სწერენ:

„მთელი მსოფლიოს მშრომელთა და ჩაგრულთა ბელადსა და მასწავლებელს დიდ სტალინს ჩვენი მგზნებარე სალამი და მადლობა პოლონეთის უღლისაგან დასავლეთ ბელორუსიის მშრომელთა განთავისუფლებისათვის".

გუშინ დაახლოებით 150 კაცი მრავალი წლის უმუშევრობის შემდეგ პირველად წავიდა სიხარულით სამუშაოდ ფოსტაში, რკინიგზის სადგურში და ქალაქის სხვა დაწესებულებებში.

სატელეფონო კავშირი ქალაქ როვნოსთან

ჟიტომირი, 20 სექტემბერი (საკდესი). დღეს დამყარდა სატელეფონო კავშირი ქალაქ როვნოსთან (დასავლეთი უკრაინა). იქიდან გადმოგვცემენ იმის შესახებ, რომ ქალაქისა და ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებნი კვლავ ზეიმობენ და უსაზღვრო მადლობას უძღვნიან წითელ არმიას, დიდ სტალინს იმისათვის, რომ მათ დასავლეთი უკრაინის მშრომელები — პოლონელი პანების მონობისაგან გაანთავისუფლეს.

ჯგუფჯგუფად შეკრებილი ხალხი ჰკითხულობს ქ. როვნოდან ჩატანილ საბჭოთა გაზეთებს, გაცხოველებით მსჯელობენ საბჭოთა პრესაში მოთავსებული მასალის შესახებ.

საჰაერო ბრძოლა

უკრაინის ფრონტი, 21 სექტემბერი (ტელეფონით). მიიღეს თუ არა საბრძოლო ბრძანება, მფრინავებმა ადგილი დაიკავეს თავიანთ მანქანებში. განმანადგურებლები ჰაერში აფრინდნენ და საბრძოლო გეზით განლაგდნენ.

მოულოდნელად მფრინავები ჭექა-ქუხილში მოხვდნენ. დაუშვა წვიმამ. მდგომარეობა ძნელდებოდა. წინსვლა ძნელია, მაგრამ საბრძოლო დავალების შეუსრულებლად უკან დაბრუნება შეუძლებელია. ორდენოსანმა მეთაურმა ამხ. ზიკანოვმა გადასწყვიტა შემოევლო ჭექა-ქუხილისათვის.

მფრინავებს მანქანები ზუსტი გეზით მიჰყავდათ. ტარნოპოლიდან 30-40 კილომეტრზე ავიაგანმანადგურებელთა რგოლი 200 მეტრ სიმაღლემდე დაეშვა და ადგილის დათვალიერებასთან ერთად მოწინააღმდეგის აეროდრომების ძებნას შეუდგა.

ანაზდად დავინახეთ, რომ აეროდრომიდან აფრინდა რომელიღაც თვითმფრინავი. — გვიამბობს ამხ. ზიკანოვი, — გამოსაცნობი ნიშნების მიხედვით გამოვარკვიეთ, რომ ეს პოლონეთის მანქანა იყო. ეჰე, ვიფიქრე, შენ ჩემო ძვირფასო, ცუდ დროს აფრენილხარ! როცა 50 მეტრზე მივუახლოვდი, მან ჩემს თვითმფრინავს სროლა აუტეხა. მე ტყვიამფრქვევით ვუპასუხე: პირველი წყება, მეორე, მესამე. პოლონეთის თვითმფრინავმა კვამლი ამოუშვა და სწრაფად დაექანა ძირს. მე სროლას განვაგრძობ. მტრის ყუმბარმშენი დაშვებისას მიწაში ჩაერჭო. ძირდაშვებისას მფრინავი-მეთვალყურე დაიღუპა, მფრინავი კი ტყისაკენ გაიქცა. ვერ წახვალ, ვერა! კიდევ ერთი წყება და იგი დაეცა.

რგოლმა წარმატებით შეასრულა საბრძოლო დავალება, და თავის აეროდრომზე დაბრუნდა. („კრასნაია არმია").

(„პრავდა", 22 სექტემბერი).

განთავისუფლებული ქალაქი ზეიმობს

როვნო (დასავლეთი უკრაინა), 21 სექტემბერი (საკდესი). მოსახლეობა დაუვიწყარ დღეებს განიცდის. აი უკვე რამდენიმე დღეა ქალაქი ზეიმობს. ეს სიხარული თან მოჰყვა წითელი არმიის ნაწილებს, რომელთაც აღტაცებით შეხვდნენ მცხოვრებნი. სახლები მორთულია წითელი ბაირაღებით. მრავალ შენობაზე გამოკიდულია ლენინისა და სტალინის პორტრეტები. მოქალაქეებს სახე ბედნიერებითა და სიხარულით უბრწყინავთ.

მოსახლეობა აღსავსეა სიძულვილით პოლონელი პანებისადმი, რომლებიც განდევნა წითელმა არმიამ. ზოგიერთნი პოლონელი დიდებულნი და ოფიცრები დროებით მიიმალნენ და ცდილობენ შური იძიონ მოსახლეობაზე. მცხოვრებნი მათ იჭერენ. დღეს მოქალაქეებმა დაიჭირეს ვინმე თავადი რაძივილი და ერთი გენერალი.

ქალაქში ნორმალური ცხოვრება მყარდება. სრული წესრიგის დასაცავად ეწყობა მუშათა რაზმები. უზრუნველყოფილია სურსათ-სანოვაგით ნორმალური მომარაგება, ყველა მაღაზია ვაჭრობს. განუწყვეტლივ იძლევა დენს ელექტროსადგური.

დაიწყო ახალი გაზეთის „ვილნა პრაციას" გამოცემა უკრაინულ ენაზე. ქალაქის კინოთეატრები გაჭედილია ხალხით. განსაკუთრებული წარმატებით სარგებლობს საბჭოთა ფილმები: „ლენინი ოქტომბერში", „ლენინი 1918 წელს", „შჩორსი", „ჩაპაევი" და სხვ.

ხალხმრავალი მიტინგი ტარნოპოლში

ტარნოპოლი (დასავლეთი უკრაინა), 21 სექტემბერი (საკდესი). ქალაქის მოსახლეობა აღტაცებით შეეგება წითელი არმიის ნაწილებს. გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი. მიტინგზე ქალაქის მცხოვრებნი მხურვალე მადლობას უხდიდნენ მამაც მებრძოლებს, რომლებმაც გაანთავისუფლეს ისინი პოლონელი პანების უღლისაგან. გაისმოდა შეძახილები: „გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!", „გაუმარჯოს წითელ არმიას!".

ამჟამად ტარნოპოლში გაცხოველებული კრებები მიმდინარეობს. კრებებზე გამოსულნი უდიდეს მადლობას უძღვნიან საბჭოთა ხელისუფლებასა და ამხანაგ სტალინს პოლონეთის უღლისაგან განთავისუფლებისათვის.

ქალაქის ქუჩები გაჭედილია ხალხით. ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში დგება.

სასიხარულო გამოცოცხლება დისნის ქუჩებში

დისნა (დასავლეთი ბელორუსია), 21 სექტემბერი (საკდესი). სულ ამ რამდენიმე დღის წინათ ზაპადნაია დვინა წარმოადგენდა საზღვარს, რომელიც აყვავებულ საკოლმეურნეო სოფელ ლუნაჩარსკოეს და დასავლეთ ბელორუსიის ქალაქ დისნას ერთმანეთისაგან ჰყოფდა. ამჟამად არაფერი ჰყოფს ერთიდაიმავე ტომის ბელორუს ხალხს. წითელმა არმიამ მშვიდობა და თავისუფლება მიანიჭა ღვიძლ ძმებს. დისნას თავს დაჰფრიალებს წითელი დროშა.

ქალაქი ჯანსაღი მჩქეფარე სიცოცხლით ცხოვრობს. ქუჩებში გაისმის სიმღერა, ახალგაზრდობა ცეკვავს. მშრომელნი განსაკუთრებული აღფრთოვანებით კითხულობენ საბჭოთა გაზეთებს, გაცხოველებით მსჯელობენ უკანასკნელ ამბებზე. მოსახლეობა სულგანაბული ისმენს მესაუბრეთა ნაამბობს დიად საბჭოთა კავშირზე, საბჭოთა ხალხის ბედნიერ, სიხარულით აღსავსე ცხოვრებაზე, სტალინურ კონსტიტუციაზე.

ქალაქში შეიქმნა დროებითი მმართველობა, რომელშიაც შევიდნენ მუშათა წარმომადგენელი მიცკევიჩი, ინტელიგენციის წარმომადგენელი შულმანი და სხვ. განუწყვეტელ ნაკადად მოდიან აქ ქალაქის მუშები და ახლომახლო სოფლების გლეხები. მათ აინტერესებთ წითელი არმიის ახალი წარმატებანი, ითხოვენ გადაუდებელი საკითხების გადაჭრას.

რამდენიმე კილომეტრიდან მოვიდა ადგილობრივ სამმართველოში სოფელ შნიტკის მცხოვრები — მოჯამაგირე ვასილ შენდო. სასიხარულო მღელვარებით ლაპარაკობს იგი სიყვარულისა და მადლობის შესახებ წითელ არმიისადმი, რომელმაც სიხარული და ბედნიერება მიანიჭა ბელორუს ხალხს.

— მე არავითარი ქონება არა მაქვს,—ამბობს შენდო, — მე მუდამ მემამულისათვის ვმუშაობდი. ახლა ვიცი, რომ ჩემს ტანჯვას ბოლო მოეღო. ახლებურად დავიწყებ ცხოვრებას. მონობისაგან ჩვენ მშობლიურმა წითელმა არმიამ გაგვანთავისუფლა.

დროებითი მმართველობა ზომებს იღებს, რათა უზრუნველყოფილ იქნას ქალაქის სახელოსნოების, კავშირგაბმულობის, სავაჭრო და კულტურულ დაწესებულებათა შეუფერხებელი მუშაობა.

დიდ სიხარულს განიცდიან ახლომახლო სოფლების გლეხები. მათ მწუხარებას ბოლო მოეღო. ისინი ლაპარაკობენ თავიანთ მძიმე ცხოვრებაზე პოლონელი პანების უღელქვეშ. მარტო დისნის მაზრის ნიკოლაევის თემში 13 მემამულე იყო, რომელნიც საუკეთესო მიწებს ჰფლობდნენ. სოფელ სუპორნიცის გლეხი თეკლე შევჩენკო ამბობს:

— შემოდგომის ღამესავით ბნელი და ნაღველივით მწარე იყო ჩვენი ცხოვრება. ჩვენ არ ვიცოდით რა იყო ბედნიერება, რა იყო სიხარული. ადამიანად არავინ გვთვლიდა. უუფლებონი ვიყავით. ახლა კი ახალი, ბედნიერი ცხოვრება გვეწყება.

სოფლებში მუშაობა დაიწყო გლეხთა კომიტეტების შესაქმნელად, რომლებიც მემამულეთა მიწების აღრიცხვას შეუდგებიან.

უკანასკნელი ცნობები

გერმანიის სარდლობის ცნობა

ბერლინი, 22 სექტემბერი (საკდესი). გერმანიის არმიის შტაბი იუწყება: „ბრძოლა ტომაშევთან დამთავრდა პოლონეთის ჯარის ნაწილების სრული განადგურებით, ბრძოლა ვარშავის მახლობლად გრძელდება.

დასავლეთის ფრონტზე, ცალკეული ოპერაციებს გარდა, არავითარი სერიოზული შეტაკება არ მომხდარა".

დასავლეთის ფრონტზე

ბერლინი, 22 სექტემბერი (საკდესი). გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის გუშინდელ ოპერატიულ ცნობაში აღნიშნულია: „დასავლეთში ჩვენ ჩამოვაგდეთ სამი მისაბმელი აეროსტატი და მტრის 8 თვითმფრინავი. სხვა მოქმედებას ადგილი არ ჰქონია".

○

ლონდონი, 22 სექტემბერი (საკდესი). გაზეთ „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტის" პარიზელი კორესპონდენტის ცნობით, ამჟამად რაიმე დიდ ოპერაციას დასავლეთის ფრონტზე არ მოელიან. პარიზში აზრს გამოსთქვამენ, რომ გერმანიის უმაღლეს სარდლობას დასვენება ესაჭიროება პოლონეთში მყოფ ჯარის გადაჯგუფებისათვის. გერმანიის ტანკებსა და თვითმფრინავებსაც რემონტი ესაჭიროებათ აღმოსავლეთში საომარი მოქმედების შემდეგ.

○

პარიზი, 22 სექტემბერი (საკდესი). ჰავასის სააგენტო გადმოგვცემს საფრანგეთის სარდლობის დღევანდელ კომუნიკეს. კომუნიკეში აღნიშნულია, რომ დასავლეთის ფრონტზე საფრანგეთის ნაწილები მიახლოვებულნი არიან გერმანიის ჯარებთან საარბრიუკენის სამხრეთ და მდინარე ბლიზის აღმოსავლეთ რაიონებში. მთელს ფრონტზე საარტილერიო სროლა სწარმოებს.

ჰიტლერი და გერინგი დანციგის რაიონში

ბერლინი, 22 სექტემბერი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო დანციგიდან იუწყება, რომ გუშინ დილით ჰიტლერმა ინახულა ჯარი დანციგის რაიონში. ჰიტლერმა დაათვალიერა აგრეთვე გერმანიის ჯარის ნაწილების მიერ დაპყრობილი ვესტერპლატე. დანციგის მიდამოებში მოხდა ჰიტლერის შეხვედრა გერინგთან, რომელიც პოლონეთის ჯარისაგან განთავისუფლებული სანაპიროს საინსპექციო დათვალიერებას ახდენდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემბერლენის გამოსვლა თემთა პალატაში

ლონდონი, 21 სექტემბერი (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება რადიოთი, გუშინ თემთა პალატაში გამოვიდა ჩემბერლენი, რომელმაც განაცხადა: „უკანასკნელი კვირის განმავლობაში მოხდა ისეთი უდიდესი მნიშვნელობის ამბები, რომ ჯერჯერობით შეუძლებელია შეფასებულ იქნას მათი გავლენა ომის ბედზე და სხვა ქვეყნების პოზიციაზე".

შეჩერდა რა პოლონეთის არმიის დამარცხებაზე და საბჭოთა ჯარის მიერ პოლონეთის საზღვრის გადალახვაზე, ჩემბერლენმა მოაგონა პალატას საბჭოთა ნოტა, რომელიც გადაეცა ინგლისის ელჩს მოსკოვში და რომელშიაც ნათქვამი იყო, რომ სსრ კავშირი განაგრძობს ნეიტრალიტეტის პოლიტიკას ინგლისთან ურთიერთობაში. „ამ პირობებში,— სთქვა ჩემბერლენმა, — მთავრობამ საჭიროდ დაინახა გამოექვეყნებინა 18 სექტემბერს განცხადება, რომელშიაც აღნიშნავდა, რომ არ მომხდარა არაფერი ისეთი, რასაც შეეძლო გავლენა მოეხდინა ინგლისის მთავრობის გადაწყვეტილებაზე შეასრულოს თავისი ვალდებულებანი".

შეეხო რა ჰიტლერის სიტყვას, ჩემბერლენმა განაცხადა: ჰიტლერის მიერ გუშინ დანციგში წარმოთქმულ სიტყვას არ შეუცვლია არსებული მდგომარეობა. ჰიტლერის სიტყვაში ამბების გადმოცემა არ შეიძლება ზუსტად ჩაითვალოს".

დაახასიათა რა მდგომარეობა დასავლეთის ფრონტზე, ჩემბერლენმა სთქვა, რომ საფრანგეთის ჯარი წარმატებით განაგრძობს წინსვლას. დაკავებულია მნიშვნელოვანი სტრატეგიული ობიექტები. —მიღწევებმა წყალქვეშა ნავების წინააღმდეგ ბრძოლაში, განაგრძო ჩემბერლენმა, საომარი მოქმედების ორ კვირაზე ცოტა მეტი ხნის განმავლობაში გადააჭარბა ინგლისის ფლოტის წარმატებებს წინანდელი ომის გაცილებით უფრო ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე. მაშინ როცა წინანდელ ომში წყალქვეშა ნავების წინააღმდეგ ბრძოლაში ჩვენ თავდაცვითი პოზიცია გვეკავა, ამჟამად ჩვენ შეტევითი ომს ვაწარმოებთ და გადაჭრით ვანადგურებთ წყალქვეშა ნავებს, როგორც კი გამოჩნდებიან ისინი. დარწმუნებული ვარ, არ გადავამეტებ, თუ ვიტყვი, რომ გერმანიის ექვსი თუ შვიდი წყალქვეშა ნავი უკვე ჩაძირულ იქნა ინგლისის გემებზე თავდასხმისათვის. ჩემბერლენმა აღნიშნა, რომ წყალქვეშა ნავების თავდასხმის შედეგად დაიღუპა 139 ინგლისელი და ნეიტრალური ქვეყნების მოქალაქე, რომ არაფერი ვსთქვათ დანაკლისზე ავიამზიდის „კარიჯესის" ჩაძირვის დროს. 44 კაცი უგზოუკვლოდ დაიკარგა.

ინგლისმა, ისე როგორც საფრანგეთმა, დიდი მოსამზადებელი მუშაობა ჩაატარა ხმელეთისა და საჰაერო ძალების განმტკიცების დარგში, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ომისათვის მთელს მზადებაში უპირატესობა გერმანიის მხარეზეა. მიუხედავად ამისა, გამუდმებით და მტკიცედ სწარმოებს ჩვენი რესურსების მობილიზაცია. ჩვენ არ უნდა გამოვიჩინოთ მოუთმენლობა, თუ ამის შედეგებს ერთბაშად ვერ ვიგრძნობთ.

შეეხო რა სამოქალაქო თავდაცვის რაზმების ორგანიზაციისა და მოსახლეობის ევაკუაციის საკითხებს, ჩემბერლენმა სთქვა: ის ფაქტი, რომ ომის პირველი ორი კვირის განმავლობაში ინგლისს ჯერ კიდევ არ განუცდია საჰაერო ბომბარდირება, არ გვაძლევს საფუძველს ამ რაზმების ნაჩქარევად და მასობრივად დაშლისათვის. ინგლისის მთავრობა და დომინიონების მთავრობები განაგრძობენ მოსამზადებელი მუშაობის ჩატარებას, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს უაღრესად ფართო მონაწილეობა მივიღოთ მომავალ ბრძოლაში.

შემდეგ ჩემბერლენმა განაცხადა, რომ იგი ომის ამ ეტაპზე არ დაიწყებს წინასწარმეტყველებას, თუ როდის და სად იქნება თავმოყრილი გადამწყვეტი ძალა ან როდის დადგება გადამწყვეტი მომენტი. ეს დამოკიდებული იქნება ამბებზე, რომელთა წინასწარ გათვალისწინება არავის შეუძლია. ჩვენი მზადების მასშტაბი და ის ფაქტი, რომ ჩვენ ამ მზადებას ვაწარმოებთ იმ ვარაუდით, რომ ომი სამ წელიწადს მაინც გასტანს, უზრუნველჰყოფს ჩვენი ძალების პროგრესიულ ზრდას.

რუმინეთის პრემიერის მკვლელობა

ბერლინი, 21 სექტემბერი (საქდესი). ტრანსოცეანის სააგენტოს ბუქარესტელი კორესპონდენტი იუწყება, რომ, ბუქარესტის რადიოსადგურის ცნობით, დღეს მოჰკლეს რუმინეთის პრემიერი კალინესკუ. დაწვრილებითი ცნობები მკვლელობის შესახებ ჯერ კიდევ არ მოსულა. როდესაც სცადეს ამ ცნობის ტელეფონით გადმოცემა ბუდაპეშტის საშუალებით რადიოკავშირი შეწყვეტილ იქნა და დღის 3 საათამდე არ აღდგენილა.

როგორც ტრანსოცეანის სააგენტოს ბუდაპეშტელი კორესპონდენტი გადმოგვცემს, ცნობამ რუმინეთის პრემიერის მოკვლის შესახებ დიდი სენსაცია გამოიწვია ბუდაპეშტში. ჰფიქრობენ, რომ ამ საქმეში ურევია პერპეტრატორუ მუსტი, რომელიც დაშლილი ფაშისტური ორგანიზაციის „რკინის გვარდიის" ერთერთი ხელმძღვანელი იყო, კალინესკუ შინაგან საქმეთა მინისტრი იყო გოგას მთავრობაში. იგი ცნობილია, როგორც „რკინის გვარდიის" დაუძინებელი მტერი. ჰფიქრობენ, რომ მას ბრალი მიუძღვის „რკინის გვარდიის" ხელმძღვანელთა დახვრეტაში, რომელიც 1938 წლის ნოემბერში მოხდა.

⊙

ბუქარესტი, 21 სექტემბერი (საქდესი). რუმინეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ დღეს 14 საათზე თავის ბინის მახლობლად მოჰკლეს რუმინეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე კალინესკუ. მკვლელები — დაშლილი ორგანიზაციის „რკინის გვარდიის" წევრები — დაპატიმრებულია.

სააგენტო ამ ცნობას დასძენს, რომ მინისტრთა საბჭოს ახალი თავმჯდომარე თავის მოვალეობას შეუდგება დღეს, საღამოს, რის შემდეგაც შესდგება მთავრობის სხდომა.

ახალი დანიშვნები რუმინეთში

ბუქარესტი, 22 სექტემბერი (საქდესი). როგორც რუმინეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რუმინეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნულია საარმიო კორპუსის მეთაური ბუქარესტში გენერალი არჯეშეანუ. პოლიციის უფროსი, გენერალი გაბრიელ მარინესკუ დანიშნულია შინაგან საქმეთა მინისტრად. მეშვიდე საარმიო კორპუსის მეთაური, გენერალი ილკუსი დანიშნულია ნაციონალური თავდაცვის მინისტრად. როგორც ცნობილია, მოკლული პრემიერ-მინისტრი კალინესკუ ამავე დროს შინაგან საქმეთა მინისტრი იყო და დროებით ასრულებდა ნაციონალური თავდაცვის მინისტრის მოვალეობას.

ჩან კაი-შის სიტყვა

ჩუნცინი, 21 სექტემბერი, (საქდესი). ნაციონალურ-პოლიტიკური საბჭოს მეოთხე სესიის დახურვის წინ ჩან კაი-შიმ განაცხადა: „ჩინეთი განაგრძობს შეიარაღებულ ბრძოლას იაპონიის აგრესიის წინააღმდეგ მანამდე, სანამ არ იქნება მიღწეული საბოლოო გამარჯვება. გამანთავისუფლებელი ომის მიზანია ჩინეთის ტერიტორიული და ადმინისტრატიული მთლიანობის აღდგენა".

ჩან კაი-შიმ კვლავ მოაგონა სესიას დიდი სიძნელენი, რომლებიც წინ ელობება გამანთავისუფლებელ ომს. „ჩვენ გვწამს, — განაგრძო მან, — რომ ყველა ჩვენი ძმები გამოვლენ გამცემელთა მოქმედების წინააღმდეგ და უარჰყოფენ მათ მოთაფლულ წინადადებებს. მთავრობა შეასრულებს ნაციონალურ-პოლიტიკური საბჭოს მიერ მიღებულ წინადადებებს და შემდეგშიაც განახორციელებს ყველა ღონისძიებას ჩვენი რიგების განსამტკიცებლად იმისთვის, რომ არ გავებათ მტრის მიერ დაგებულ მახეში".

შეეხო რა ჩინეთის საერთაშორისო მდგომარეობას, ჩან კაი-შიმ განაცხადა: „ჩვენ შევასრულებთ ჩვენს მოვალეობას და ჩავშლით აგრესორის გეგმებს აღმოსავლეთში. ჩვენ ვიბრძოლებთ იაპონიის გეგმების წინააღმდეგ, რომელთა მიზანია ჩინეთის დაპყრობა, აგრეთვე აგრესორის მიერ საერთაშორისო მდგომარეობის გამოყენებისა და უცხო სახელმწიფოებზე მისი ზემოქმედების გეგმების წინააღმდეგ. ჩინეთის ხალხი დარწმუნებულია, რომ მისი შეიარაღებული წინააღმდეგობა და ნაციონალური რეკონსტრუქცია მშვიდობიანობისა და პროგრესის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს მთელს მსოფლიოში. ჩინეთის რესპუბლიკა ხელს არ აიღებს თავის გადაწყვეტილებაზე განაგრძოს ბრძოლა საბოლოო გამარჯვებამდე".

საომარი მოქმედება ჩინეთში

(საქდესის ჩუნცინელი და შანხაელი კორესპონდენტების ცნობათა მიხედვით)

ცენტრალურ ჩინეთში

ხუბეის პროვინციაში, დაწყებული 11 სექტემბრიდან, იაპონიის ჯარმა შეტევა დაიწყო ჩინეთის პოზიციებზე. ჩინეთის თავდაცვამ გადამწყვეტი წინააღმდეგობა გაუწია და მტრის შეტევა მოიგერია. იაპონელებს 2 ათასზე მეტი კაცი მოუკლეს.

ძიანსის პროვინციის ჩრდილოეთ ნაწილში, ფინსინსა და გაონს შორის მდებარე რაიონში იაპონელთა რამდენიმე უნაყოფო იერიშის შემდეგ სიწყნარე ჩამოვარდა. უნინ-ქუიჩანის რაიონში ჩინელთა პარტიზანულმა რაზმებმა, რომლებიც წინ მიიწევენ აღმოსავლეთის მიმართულებით, გადასჭრეს ძიუძიან-ნანჩანის რკინიგზის ხაზი მახულინის რაიონში. 15 სექტემბერს ჟუნინის რაიონში ჩინელთა ნაწილებმა 200-ზე მეტი იაპონელი გაანადგურეს და ხელთ ჩაიგდეს მტრის სანგრები.

ჩრდილოეთ ჩინეთში

ხენანის პროვინციის ჩრდილოეთ ნაწილში, მდებარე ხუანხის ჩრდილოეთ ნაპირზე, ჩინეთის ჯარმა 12 სექტემბერს დაიკავა შანგუანცუნი, 14 სექტემბერს — ცინიანი და ბეისიანჩენი და 15 სექტემბერს — ნიუშიჩუნი.

შანსის პროვინციის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში 15 სექტემბერს ჩინეთის ნაწილებმა დაიკავეს გუჩენი და ჩუინკოუ. ამ ქალაქებისათვის წარმოებულ ბრძოლებში იაპონელებმა 500-ზე მეტი კაცი დაჰკარგეს. დიდი ბრძოლები სწარმოებს ხუგუანის რაიონში. ამ პუნქტისათვის წარმოებულ ბრძოლაში იაპონელებს 15 სექტემბრიდან სულ მცირე 800 კაცი მოუკლეს.

მდგომარეობა დასავლეთ ფრონტზე

ჰელსინკი, 21 სექტემბერი (საქდესი). პარიზიდან მიღებულ დეპეშაში გაზეთი „ჰელსინგინ სანომატი" იუწყება, რომ საფრანგეთის ჯარის უმოქმედობას დასავლეთ ფრონტზე, რამაც 60 საათზე მეტს გასტანა, იქ „ცუდი ამინდით" ხსნიან. გარდა ამისა, აცხადებენ, რომ საჭიროა შვებულება მიეცეს იმ ჯარებს, რომლებიც უკვე ორი კვირის განმავლობაში იღებდნენ მონაწილეობას საომარ ოპერაციებში.

პარიზი, 21 სექტემბერი (საქდესი). გამოქვეყნებულია ოფიციალური კომუნიკე, სადაც ნათქვამია: „21 სექტემბერი, დილა. ადგილი აქვს ჯარის იმ ნაწილების ადგილობრივი ხასიათის აქტივობას, რომლებიც პირისპირ დგანან. სწარმოებს საარტილერიო სროლა ორივე მხრით".

ლონდონი, 22 სექტემბერი (საქდესი). რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი პარიზიდან იუწყება, რომ საფრანგეთის სამხედრო სარდლობის კომუნიკეს თანახმად, რომელიც იქ გუშინ საღამოს გამოქვეყნდა, დღემ ფრონტზე მშვიდობით ჩაიარა. გერმანიის არტილერია ყუმბარებს უშენდა საფრანგეთის პოზიციებს, რომლებიც მდებარეობენ მთიან რაიონში, საარბრიუკენის სამხრეთით. საფრანგეთის ავიაცია, მიუხედავად ცუდი ამინდისა, სამზვერაო ფრენას განაგრძობდა.

გაზეთ „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტის" პარიზელი კორესპონდენტის ცნობით, საფრანგეთის ჯარმა მიაღწია ცვეიბრუიუკენის მიდამოებს — ძლიერ გამაგრებულ პუნქტს ზიგფრიდის ხაზზე, 18 მილზე საარბრიუკენის აღმოსავლეთით და 5 მილზე საფრანგეთის საზღვრიდან. გაზეთი აღნიშნავს, რომ გერმანიის ჯარი უკან დახევისას ისეთ „მახეებს" სტოვებს, რომელსაც გერმანელები ეგრეთწოდებულ ჰინდენბურგის ხაზზე აწყობდნენ 1914-1918 წლების მსოფლიო ომის დროს (ამ მახეებში ავტომატურად ფეთქადი ნაღმებია).

ჰელსინკი, 22 სექტემბერი (საქდესი). „სუვუდსტადსბლადეტის" ბერლინელი კორესპონდენტი, რომელმაც პირველად მოიარა დასავლეთის ფრონტი, იუწყება, რომ საომარი მოქმედება ჯერჯერობით საარტილერიო ბომბარდირებითა და ტანკების მოქმედებით განისაზღვრება. საომარი მოქმედების ტერიტორია მეტად განსაზღვრულია.

ბერლინი, 22 სექტემბერი (საქდესი). გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობა იუწყება, რომ დასავლეთის ფრონტზე ცალკეული რაზმების მცირე ოპერაციები სწარმოებდა. საჰაერო ბრძოლაში ჩამოგდებულ იქნა საფრანგეთის ავიაგანმანადგურებელი.

სამხედრო თათბირი დალადიესთან

პარიზი, 21 სექტემბერი (საქდესი). როგორც ჰავასის სააგენტო იუწყება, საფრანგეთის პრემიერ-მინისტრ დალადიეს გუშინ თათბირი ჰქონდა ინგლისის სამხედრო მინისტრ ხორ-ბელიშასთან. ხორ-ბელიშასთან საუბრის შემდეგ დალადიემ ჩაატარა თათბირი, რომელსაც დაესწრნენ: გენერალი გამელენი, არმიის შტაბის უფროსი გენერალი კოლსონი, საჰაერო ძალების მთავარი შტაბის უფროსი გენერალი ტეტიუ, ადმირალი დარლანი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე შამპეტიე დე რიბი, საგარეო საქმეთა მინისტრის კანცელარიის დირექტორი კულონდრი და სხვები.

შუქრუ სარაჯოღლუ მოსკოვს გაემგზავრა

ანკარა, 22 სექტემბერი (საქდესი). გუშინ საღამოს მოსკოვს გაემგზავრა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი შუქრუ სარაჯოღლუ. მასთან ერთად გაემგზავრა სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი თურქეთში ამხ. ტერენტიევი.

მინისტრს თან ახლავთ საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივნის მოადგილე ჯევად აჩიკალინი, საგარეო საქმეთა სამინისტროს პირველი დეპარტამენტის დირექტორი ფერიდუმ ჯემალ ერკინი, საგარეო საქმეთა მინისტრის კაბინეტის დირექტორი ზექი პოლარი.

სადგურზე ისინი გააცილეს: მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ რეფიკ საიდამმა, მეჯლისის თავმჯდომარემ აბულხალიკ რენდამ, რესპუბლიკის პრეზიდენტის პირველმა ადიუტანტმა, ყველა მინისტრმა და დიპლომატიურმა კორპუსმა.

მღელვარება ვარშავაში

ბერლინი, 21 სექტემბერი (საქდესი). როგორც ამსტერდამიდან იუწყებიან, ვარშავის მოსახლეობის დიდი ნაწილი აჯანყდა სამხედრო ხელმძღვანელობის წინააღმდეგ. ქალაქის ქუჩებში მცხოვრებთა ცალკეულ ჯგუფებს შორის ხდება შეტაკებანი, რომლებიც ნამდვილი ბრძოლის ხასიათს იღებენ. არის მრავალი მოკლული და დაჭრილი. ბრძოლის დროს ვარშავის მცხოვრებნი მებრძოლ ჯგუფებს ფანჯრებიდან ესვრიან ქვებს, საოჯახო ნივთებს, ცეცხლმოკიდებულ ჩვრებს და სხვ. ბრძოლაში მონაწილეობას იღებს აგრეთვე პოლიცია.

პარიზი, 21 სექტემბერი (საქდესი). ჰავასის სააგენტო რადიოთი გადმოგვცემს შემდეგ ცნობას: „გუშინ 22 საათსა და 5 წუთზე ვარშავიდან პოლონეთის რადიომ გადმოგვცა, რომ გერმანიის ჯარს იერიში მიაქვს ვარშავის გარეუბნებზე პრაღასა და ვოლიაზე. ბრძოლის ხმაური აღწევს სტუდიამდე. საიდანაც გადმოსცემენ ამ ცნობებს".

რუმინეთის ხელისუფლების განკარგულება

ბუქარესტი, 21 სექტემბერი (საქდესი). როგორც რუმინეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რუმინეთში გამოცემულია ოფიციალური განკარგულება, რომლითაც პოლონეთის ყველა ლტოლვილს, მთავრობის წევრთა და ყველა კატეგორიის სამხედრო პირთა გამოკლებით, ნება ეძლევათ დასტოვონ რუმინეთი, თუ მათ მოეპოვებათ საბუთები, რომლებიც შესაძლებლობას აძლევენ გაემგზავრონ საზღვარგარეთ.

მოსციცკის, ბეკისა და რიძ-სმიგლის ინტერნირება

ნიუ-იორკი, 21 სექტემბერი (საქდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტო, ემყარება რა ავტორიტეტულ ცნობებს, გადმოგვცემს, რომ რუმინეთის მთავრობამ გადასწყვიტა მოახდინოს მოსციცკისა და ბეკის ინტერნირება.

ნიუ-იორკი, 21 სექტემბერი (საქდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება ბუქარესტიდან, მიუხედავად ინგლის-საფრანგეთის წინააღმდეგობისა, რუმინეთის მთავრობამ გამოაცხადა რუმინეთში რიძ-სმიგლის ინტერნირება ომის განმავლობაში.

პოლონეთის გენერლების სკოტნიცკისა და მონდის დაღუპვა

ჰელსინკი, 22 სექტემბერი (საქდესი). ბუქარესტიდან იუწყებიან, რომ ამ უკანასკნელ დღეებში წარმოებული ბრძოლის დროს მოჰკლეს ორი პოლონელი გენერალი — სკოტნიცკი და მონდი.

პოლონეთის თვითმფრინავების ძირს დაშვება ბულგარეთში

ჰელსინკი, 21 სექტემბერი (საქდესი). სოფიიდან იუწყებიან, რომ გუშინ ჩრდილოეთ ბულგარეთში ძირს დაეშვა პოლონეთის ორი სამხედრო თვითმფრინავი. თვითმფრინავები კომფისკებულია. თვითმფრინავების ეკიპაჟი 6 კაცის შემადგენლობით ინტერნირებულია.

ინგლისში დაკავებულია ნეიტრალური სახელმწიფოების 200 გემი

ლონდონი, 22 სექტემბერი (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, 20 სექტემბრისათვის ინგლისში დაკავებული იყო დაახლოებით 200 გემი, რომლებიც ნეიტრალურ სახელმწიფოებს ეკუთვნიან. აქედან 80 გემს საბუთების გასინჯვის შემდეგ ნება მიეცა განეგრძოთ თავიანთი გზა. დანარჩენი გემების ტვირთი დაკავებულია ინგლისის ნავსადგურებში.

ინგლისის გემებმა სროლა აუტეხეს გერმანიის წყალქვეშა ნავს

ჰელსინკი, 22 სექტემბერი (საქდესი). ლონდონიდან იუწყებიან, რომ ფოლქსტონის მცხოვრებთ 20 სექტემბერს, საღამოს საარტილერიო სროლა ესმოდათ ლა-მანშში. სროლა ასტეხა ორმა გემმა. სროლის ცეცხლი მოსჩანდა ინგლისის ნაპირებთან. გემების მახლობლად დაცემული ყუმბარებისაგან წყლის სვეტები ჩნდებოდა. ჰფიქრობენ, რომ გემები გერმანიის წყალქვეშა ნავს ესროდნენ.

ინგლისის მუნიციპალიტეტთა არჩევნების გადადება

ლონდონი, 21 სექტემბერი (საქდესი). გაზეთ „ნიუს ქრონიკლის" პოლიტიკური მიმომხილველი აღნიშნავს, რომ მთავრობა შეუთანხმდა ოპოზიციას გადადებულ იქნას მუნიციპალიტეტების არჩევნები, რომელიც ნოემბერში უნდა მომხდარიყო. პარლამენტში შეტანილი იქნება კანონპროექტი, რომელიც დაადასტურებს ამ გადაწყვეტილებას. წარმომადგენლობა ქალაქის თვითმმართველობებში შენარჩუნებული იქნება იმავე სახით, რა სახითაც იგი ამჟამად არის.

გამოცოცხლება თურქეთის ბაზარზე

ანკარა, 21 სექტემბერი (საქდესი). მთავრობის მიერ მიღებულ ღონისძიებათა შედეგად, შინაური ბაზრის მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. შინაური ვაჭრობა ნორმალურად მიმდინარეობს. მრავალი საქონლის ფასი დაეცა. შემჩნეულია გამოცოცხლება საგარეო ვაჭრობაშიაც.

გემების მიმოსვლა სტამბოლის ნავსადგურსა და ხმელთაშუა ზღვის ნავსადგურთა შორის ნორმალურად მიმდინარეობს. სტამბოლის ნავსადგურში შედიან იტალიის, ამერიკის, ჰოლანდიისა და რუმინეთის სავაჭრო გემები.

მთავრობამ განკარგულება გასცა შემცირდეს ტარიფები ზოგიერთ საიმპორტო საქონელზე. გარდა ამისა ყოველ ვილაიეთში შექმნილია სპეკულაციასთან მებრძოლი კომისია, რომლის ამოცანასაც შეადგენს ფასების კონტროლი.

ამხ. ვ. გრიზოდუბოვა სოხუმში

სოხუმი, 22 სექტემბერი (ტელეგრ. „კომუნისტის" კორ.). 21 სექტემბერს სოხუმში მოფრინდა საბჭოთა კავშირის გმირი, ცნობილი მფრინავი ამხ. ვალენტინა გრიზოდუბოვა. ამხ. გრიზოდუბოვა სოხუმში დაისვენებს თავისი ოჯახის წევრებთან ერთად.

24 სექტემბერს სრულდება ამხ. გრიზოდუბოვას მეთაურობით ქალთა გმირული ეკიპაჟის მიერ მოსკოვიდან შორეულ აღმოსავლეთში თვითმფრინავ „როდინათი" გადაფრენის წლისთავი.

ამ სახელოვან თარიღს ამხ. გრიზოდუბოვა სოხუმში გაატარებს.

გ. მერკვილაძე

ამხ. მ. ვოდოპიანოვი ბათუმში

ბათუმი, 22 სექტემბერი (ტელეფ. „კომუნისტის" კორ.). 21 სექტემბერს საღამოს ბათუმში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის გმირი ამხ. მიხეილ ვოდოპიანოვი. ჩამოსვლის მეორე დღეს, 22 სექტემბერს ვოდოპიანოვმა აჭარის ასსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ფუტკარაძესთან ერთად დაათვალიერა ბათუმის ბოტანიკური ბაღი, ჩაქვის საბჭოთა მეურნეობა, ჩაქვის ჩაის ფაბრიკა, ციხისძირის ლიმონის ფარდული, საკურორტო ადგილები და ჩაქვის სოფლსაბჭოში შემავალი კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბერი", სადაც ძვირფას სტუმარს კოლმეურნეებმა გულთბილი შეხვედრა მოუწყეს.

22 სექტემბერს ამხ. ვოდოპიანოვი ესტუმრა ბათუმის სტალინის სახელობის ნავთსახდელი ქარხნების მუშებს. საღამოს 5 საათზე ქარხნის კლუბის ეზოში შესდგა ხალხმრავალი მიტინგი. მიტინგზე სიტყვით გამოვიდა ამხ. ვოდოპიანოვი, რომელსაც დამსწრენი მხურვალე ოვაციებით შეხვდნენ. ამხ. ვოდოპიანოვს ხშირად აწყვეტინებდნენ სიტყვას მქუხარე ტაშით როცა ის ლაპარაკობდა ჩრდილოეთ პოლუსზე გადაფრენის წარმატებით დამთავრებისა და უძლეველი საბჭოთა ავიაციის ბრწყინვალე გამარჯვებების შესახებ. ისმოდა მგზნებარე შეძახილები „ვაშა საბჭოთა კავშირის გმირებს!", „გაუმარჯოს ჩვენს საყვარელს დიდ სტალინს!".

ამხ. ვოდოპიანოვს მიესალმნენ ქარხნის მოწინავე მუშები ივანე სკრიპკინი, ვლადიმერ ზლობინი და პიონერი ვოლოდიჩევა.

მიტინგის დამთავრების შემდეგ ამხ. ვოდოპიანოვი ბათუმის ნავთსახდელი ქარხნის მუშებმა მუსიკითა და ყვავილების თაიგულებით გააცილეს.

ქრონიკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით გაერთიანებულია ავჭალის სასოფლო საბჭოს სოფლები: ზემო-ავჭალა და ქვემო-ავჭალა დაბის (ქალაქის ტიპის დასახლებული ადგილის) კატეგორიის მიკუთვნებით და შეიქმნა მათგან დაბა ავჭალა.

ამავე ბრძანებულებით გაუქმებულია ავჭალის სასოფლო საბჭო და შექმნილია ავჭალის სადაბო საბჭოობა ავჭალის და სოფლების ლრმაღელის, წითელი უბნის და პატარა გლდანის შემადგენლობით ცენტრით ქვემო-ავჭალაში.

„ფრანცისკო გოია"

„საქმხატვარის" გამომცემლობამ გ. ნატროშვილის რედაქციით გამოსცა ახალგაზრდა მხატვრის გიორგი გაბუნიას მონოგრაფია „ფრანცისკო გოია".

წიგნში მოთავსებულია დიდი რევოლუციონერი მხატვრის ფრანცისკო გოიას ათი საუკეთესო სურათის რეპროდუქცია. წიგნის ყდა გაფორმებულია მხატვარ ა. კოჯრიანის მიერ.

სასამართლო

სპეკულანტთა ბრბო

სტალინის რაიონის დახურული ბაზარი (ყოფ. „დეზერტირკა"). ერთერთი დიდი ბაზარია თბილისში. დიდძალ მშრომელებს იზიდავს იგი ყოველდღიურად და ამარაგებს საკვები პროდუქტებით, მაგრამ ამასთან ბნელით მოსილი, იოლი შოვნის მოყვარული და უსაქმო მაწანწალაც ბევრი ეტანება ამ ბაზარს.

უშრომლად, წაღლეტითა და მოტყუებით ჯიბის გამსქელებელთაგან აქ მთელი ჯგუფი შეიქმნა. მასში შედიოდნენ სერგო ილიას-ძე ხალიშვილი, კარაპეტ მიხეილის-ძე ფირანაშვილი, ჯიმშერ მოსეს-ძე დავიდოვი, არშაკ ისაკის-ძე მატინოვი, ტიგრან კარაპეტის-ძე სარქისოვი, ტორგუმ ხაჩატურის-ძე მკრტჩიანი, ალექსანდრე ტატინაშვილი და ივანე იაგორის-ძე როსტომაშვილი, ყველა გაურკვეველი პროფესიისა, გარდა ალ. ტატინაშვილისა, რომელიც ტრამვაის ვატმანი იყო.

მათ ხელობად ის გაიხადეს, რომ ყოველდღიურად მიდიოდნენ საკოლმეურნეო ბაზარში, ხვდებოდნენ რაიონებიდან ჩამოსულ, პროდუქტებით დატვირთულ კოლმეურნეებს, იძენდნენ მათგან საქონელს ბითუმად და შემდეგ ჰყიდდნენ ცალობით გაორკეცებულ და გაათკეცებულ ფასებში, ეს იმის მიხედვით, თუ როგორი იყო სიტუაცია ბაზარზე. ზოგიერთი მათგანი თითქოს „დახმარების" გასაწევად „მიემაგრა" ცალკეულ კოლმეურნეებს, რომლებსაც ხორცი მოაქვთ ბაზარში, და ამ „თვითმიმაგრებას" იყენებდნენ იმ მხრივ, რომ ატყუებდნენ წონასა და ფასში როგორც მომხმარებელს, ისე კოლმეურნეებს.

დიდხანს თარეშობდა ეს ჯგუფი ბაზარში. საბაზრო კომიტეტმა იცოდა მათი არსებობა. მაგრამ გასაოცარი ის არის, რომ ზომებს არ იღებდა მათ წინააღმდეგ. ალბათ კიდევ დიდხანს ითარეშებდნენ ეს გარეწრები, რომ მილიციას არ გაეწმინდა მათგან ბაზარი. ყველანი დააპატიმრეს და სამართალში მისცეს, როგორც სასპეკულაციო მიზნით პროდუქტების შემსყიდველები.

სამ [illegible] სტალინის სახელობის რაიონის მესამე უბნის სახალხო სასამართლომ ამხ. ა. მაჭავარიანის თავმჯდომარეობით, სახელმწიფო ბრალმდებლის,—რაიონის პროკუროორის ამხ. რ. ბახანოვისა და საზოგადოებრივი ბრალმდებლის—მაუდ-კამვოლის ფაბრიკის მუშის ამხ. ჯორჯაძის მონაწილეობით. საქმე საჯარო საჩვენებელი პროცესით ირჩეოდა მაუდ-კამვოლის ფაბრიკის კლუბში, რომელიც ყოველთვის გაჭედილი იყო ხალხით.

გუშინ სახალხო სასამართლომ გამოიტანა განაჩენი, რომლის თანახმად ს. ი. ხალიშვილს და კ. მ. ფირანაშვილს მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა ათ-ათი წლით; ხოლო სასჯელის მოხდის შემდეგ სამოქალაქო უფლებების აყრა ხალიშვილს ოთხი წლით და ფირანაშვილს ორი წლით; კონფისკაციაქმნილია ს. ი. ხალიშვილის ქონება მთლიანად და კ. მ. ფირანაშვილისა ნაწილობრივ. ჯ. მ. დავიდოვს და ა. ი. მატინოვს მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა რვა-რვა წლით, და სასჯელის მოხდის შემდეგ სამოქალაქო უფლებების აყრა დავიდოვს ერთი წლით და მატინოვს სამი წლით; მათი პირადი ქონება კონფისკაციაქმნილია. ტ. კ. სარქისოვს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა შვიდი წლით, მისი პირადი ქონების კონფისკაციით, ტ. ხ. მკრტჩიანს თავისუფლების აღკვეთა ექვსი წლით და სასჯელის მოხდის შემდეგ ოთხი წლით სამოქალაქო უფლებების აყრა, მისი პირადი ქონების კონფისკაციით.

ს. ტატინაშვილი და ი. როსტომაშვილი ბრალდების დაუმტკიცებლობის გამო სასამართლომ გაამართლა.

სასამართლომ გამოიტანა კერძო დადგენილება სტალინის რაიონის დახურული საკოლმეურნეო ბაზრის კომიტეტის ზოგიერთი იმ მუშაკის სამართალში მიცემის შესახებ, რომლებიც დაუდევრობას და უმოქმედობას იჩენდნენ სპეკულაციასთან ბრძოლის საქმეში.

მ. სურგულაძე.

საკოლმეურნეო ჰიდროელექტროსადგური

სოხუმის რაიონის ვოლოდარის სოფლის საბჭოს სტალინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის კოლმეურნეებმა დაამთავრეს მშენებლობა ჰიდროელექტროსადგურისა, რომელიც ენერგიით უზრუნველჰყოფს წისქვილს, ხე-ტყის სახერხ ქარხანას და ელექტრონის შუქს მისცემს ბინებში კოლმეურნეებს. განზრახულია დენი მიეცეს აგრეთვე ესტონელთა ტელმანის სახელობის მეზობელ კოლმეურნეობას.

ამჟამად კოლმეურნეობის ჰიდროსადგურზე მოწყობილობის შემოწმება სწარმოებს.

კოლმეურნეებმა ვალდებულება იკისრეს საექსპლუატაციოდ გადასცენ თავიანთი სადგური დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXII წლისთავისათვის. (საქდესი).

მოსწავლეთა დღესასწაული

სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით 23 სექტემბერს ს. ორჯონიკიძის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი მართავს მოსწავლეთა დღესასწაულს.

მოეწყობა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, მწერალ-დრამატურგის ამხ. შალვა დადიანის შეხვედრა მოსწავლეებთან. დღესასწაულში მონაწილეობას მიიღებს მოგზაური მუსიკოსი ილიკო ქურხული. იქნება სხვა გასართობებიც.

დღესასწაული გაგრძელდება საღამოს 6-დან 10 საათამდე.

10 საათზე გაიმართება კონცერტი.

ფეხბურთი

თბილისის „დინამო" მოსკოვს გაემგზავრა

მოსკოვის „სპარტაკის" ოსტატთა გუნდისა და თბილისის „დინამოს" ოსტატთა გუნდის შეხვედრა ნახევარ ფინალში „სსრ კავშირის თასზე" გაპროტესტებულ იქნა თბილისელების მიერ. ამ პროტესტის გარჩევასთან დაკავშირებით თბილისის გუნდი მთლიანი შემადგენლობით გაწვეულია მოსკოვში.

თუ საკითხი თბილისელების სასარგებლოდ გადაწყდა, მაშინ ამ გუნდებს შორის ნახევარფინალში შეხვედრა კვლავ გათამაშდება.

21 სექტემბერს „დინამოს" გუნდი მოსკოვს გაემგზავრა. ამის გამო ფეხბურთელთა ის შეხვედრები, რომელიც უნდა შემდგარიყო თბილისში სსრ კავშირის პირველობაზე გადადებულია. (საქდესი).

წყალსადენისა და კანალიზაციის ქსელის გაფართოება

წელს თბილისში მნიშვნელოვანი მუშაობა ჩატარდა წყალსადენისა და კანალიზაციის ქსელის გასაფართოებლად. მუშაობა უმთავრესად განაპირა უბნების ქუჩებში მიმდინარეობდა.

20-ზე მეტი განაპირა ქუჩის მოსახლეობა, რომელიც წინათ კასრებით მიტანილ წყალს ხარჯავდა, ამჟამად სასმელ წყალს უშუალოდ ონკანებით იღებს. 12 ქუჩაში ჩაწყობილია კანალიზაციის მილები. წლის დამლევამდე ჩააწყობენ კიდევ 1500 მეტრ წყალსადენისა და 3500 მეტრ კანალიზაციის მილს. (საქდესი).

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ბერიას სახელობის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთები № 2850654 — გიორგი იოსების-ძე მათუზოვის და № 1546861—ავაქ აღაჯანის-ძე ვართანოვის სახელზე დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) გურჯაანის რაიკომი აცხადებს, რომ საკანდიდატო ბარათი № 0928144—ნიკოლოზ ზაქარიას-ძე ვარამაშვილის სახელზე და პარტბილეთი № 1538351—გიორგი ლიმონას-ძე მირველოვის სახელზე დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

**პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი**

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი
სახელმწიფო თეატრი
1939-40 წ. წ. სეზონი.

23/IX	24/IX	26/IX
მუდმ. ადგ. ტალონი № 4	მუდმ. ადგ. ტალონი № 5	მუდმ. ადგ. ტალონი № 6
არსენა	ოტელო	არსენა

სალარო ღიაა დღის 12 საათიდან საღამოს 9 საათამდე
დასაწყისი 8 საათზე.

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის
ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

სეზონის გახსნა 23 სექტემბერს	24 სექტემბერს	26 სექტემბერს
მუდმ. ადგ. ტალ. № 1	მუდმ. ადგ. ტალ. № 2	მუდმ. ადგ. ტალ. № 3
დაისი	ჯავშნოსანი პოტიომკინი	ტრავიატა

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
აბონემენტებზე განაცხადთა მიღება და აბონემენტების გაცემა თეატრის სალაროში
სალარო ღიაა 11—4 ს. და 5—9 ს.

საქსახესტრადის საზაფხულო თეატრი და ბაღი
(პლეხანოვის პროსპ. № 123, ტელ. 3-18-50)

საზაფხულო თეატრი	დახურულ დარბაზში
23 სექტემბერს მუდმ. ადგ. ტალ. № 117 როზ-მარი მუს. კომ. 3 მოქმ. 24 სექტემბერს მუდმ. ადგ. ტალ. № 118 მხიარული ქვრივი მუს. კომ. 3 მოქმ. სამხ. ხელმძღვ. ა. ნ. ოლგარი დასაწყისი საღამოს 9 საათზე. სალარო ღიაა დილის 11-დან 3 ს-მდე საღ. 6-დან 11 ს-მდე.	23, 24 სექტემბერს გამოსათხოვარი საღამო უებანის ყაზახები სწარმოებს ბილეთების შეძენა კოლექტიურად დასწრებაზე. ღია ესტრადა 23. 24 სექტემბერს საღამო კონცერტი ორდენოსან სალარაძის და ორდენოსან ჯაფარიძის მონაწილეობით. ხმოვანი კინოფილმი დასაწყ. საღ. 9 ს. 30 წ.

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო
თეატრს ესაჭიროება
სცენის მუშები, დურგლები და დამლაგებლები
პირობების გაგება შეიძლება თეატრის კანცელარიაში—ქორესის ქ. № 8, დილის 10 საათიდან დღის 4 საათამდე.
2—2

თბილისის ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტი
აწარმოებს სტუდენტების დამატებით
მიღებას.
განცხადებები მიიღება 25 სექტემბრამდე.
მისამართი: სამას არაგველთა აღმართი № 2
ტელეფონი № 3-41-24.
38ı

მეუღლე ალექსი, შვილი ვერიკო ბურდულები იუწყებიან, რომ 24/IX 2 ს. პეტრე პავლეს სასაფლაოზე შესდგება
თამარ ბურდულის
სამოქალაქო პანაშვიდი. 3195

კოსტია და თამარ კუციები იუწყებიან მათი საყვარელი მამიდაშვილის პატარა
ჯამბულიას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 24/IX 5 ს. ვაკის სასაფლაოზე. გამოსვენება მარის, 10. 3193.

სოფიკო და ერმილე ღლონძეები შვილებით ნოდარით და ჯემალით იუწყებიან საყვარელი დედის და ბებიის
დარო დავითაშვილის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 23/IX 6 ს. გამოსვენება 24/IX 4 ს. საბურთალოდან, ცხენისწყლის ქუჩა, 3, ვერის სასაფლაოზე. 3187

მამიდა მარიამ სოზიაშვილი, დეიდები ელისაბედ კობახიძე, სოფიო ზაზიაშვილი ლეილათი იუწყებიან, რომ 24/IX 1 საათზე ვაკის სასაფლაოზე შესდგება
მედეა გიორგის-ასულ მაისურაძე-ნაცვლიშვილის
სამოქალაქო პანაშვიდი. 3190

მშობლები ალექსანდრე, ეთერ, ძმა ჯამრულ, ბებია ნინო, მამიდა ჟენია იუწყებიან, რომ 24/IX 5 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია საყვარელ
ზაურიკო რუხაძის
სამოქალაქო პანაშვიდი. 3191.

მშობლები ლეილა, ირაკლი, ბებია ოლღა, მამიდა მარო, ბიძები არსენ, ვალოდია ჩოჩიები, დეიდა კატო ძაგანია იუწყებიან უსაყვარლესი პატარა
ჯამბულიას
გარდაცვალებას. პანაშვიდი 23/IX 6 ს. მარის, 10. გამოსვენება 24/XI 5 ს. ვაკის სასაფლაოზე. 3193

ბაბუა ანტონ, ბებია ჟენია, დეიდები ზინაიდა, თინა, ბიძა ვასო თავართქილაძეები, რაფიელ, ნინო კობალაძეები იუწყებიან მათთვის უსაყვარლესი
ჯამბულიას
გარდაცვალებას. გამოსვენება 24/IX 5 ს. მარის, 10. 3193

მეუღლე ფედოსი, შვილები გიორგი მეუღლით თამარით, ქსენია, ალექსანდრა, თამარ, ეთერ, სიძეები გიორგი, ვასო, შვილიშვილები იუწყებიან ძვირფას
ისიდორე სიმონის-ძე ფარცხალაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. შუამთაში 24/IX. 3192

მოსე, დარო გვარამაძეები, მაშო ახვლედიანი იუწყებიან საყვარელ შვილიშვილის პატარა
დიანა ვალერიანის-ასულ შოვნაძის
გარდაცვალებას. გამოსვენება 24/IX 4 ს. მეორე ფარკოფელის, 5. (ლენრაიონი). 3194

მშობლები ვალიკო, სარა, ძმა ვაჟა, ბაბუა არსენ, ბებია ელისაბედი, მამიდა გოგუცა შოვნაძეები იუწყებიან საყვარელი პატარა
დიანას
გარდაცვალებას. გამოსვენება 24/IX 4 ს. კუკიის სასაფლაოზე. პანაშვიდი 23/IX 7 ს. 2-ე ფარკოფელის, 5. (ლენრაიონი). 3194

ამხანაგები პატარაია, ბილიხოძე, კაკელიძე, ჭყონია, დანელია, რატიანი, ჟორჟოლიანი, შუბლაძე, კვაჭაძე, სიხარულიძე, წიწილაშვილი, დანელია, ჭყონია, მაისაია, ჭყონია, იუწყებიან მიშა ბახტაძის მამის
იასონის
გარდაცვალებას. 3197

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, პ.-მგ მდივნის მოადგილისა—3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის და პრესის მიმოხილვის 3 81 84, სასოფლო-სამეურნეოს—3—73—40, საბჭოთა მშენებლობის და განათლება-ჯანმრთელობის—3—80—83, მრეწველობისა და ინფორმაციის—3—80—84, წერილების—3—73—24, 3—80—81. პ.-გ. მორიგის—3—81—65, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

მთავლიტის რწმუნებული ა—632